

BAG

ინდუქსია

დასაქმების
ბარომეტრი



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE

Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich




Research

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ¹.

2021 წლის IV კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით უმეტესად დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 20.5 ეულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია როგორც 2020 წლის IV კვარტალთან შედარებით (34.2 ეულით), ასევე, წინა - 2021 წლის III კვარტალთან შედარებით (8.8 ეულით). ხოლო პრეპანდემიურ პერიოდთან (2019 წლის IV კვარტალი) შედარებით, მაჩვენებელი გაუარესებულია.



გრაფიკი 1: BAG დასაქმების ბარომეტრი

2021 წლის IV კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა ყველა სექტორში, მრეწველობის გარდა, სადაც დასაქმების ბარომეტრის ქულა წინა კვარტლის მსგავსია.





ხოლო პრეპანდემიურ პერიოდთან შედარებით, 2021 წლის IV კვარტალში, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუარესებულია ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებში, მრეწველობის სექტორში მაჩვენებელი გაუმჯობესდა, ხოლო მშენებლობის სექტორში მაჩვენებელი ზუსტად პრეპანდემიურ დონეზე (2019 წლის IV კვარტალი) დაბრუნდა (იხილეთ გრაფიკი 16).

2021 წლის IV კვარტალში, 2021 წლის III კვარტალთან შედარებით, ვაჭრობის, მშენებლობის და მომსახურების სექტორებში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებლის გაუმჯობესება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ამ სექტორებში არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.


¹ კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „მზარდი“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

ცხრილი 1: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020	IV კვ. 2020	I კვ. 2021	II კვ. 2021	III კვ. 2021	IV კვ. 2021
ვაჭრობა	33.3	-45.0	5.6	12.5	-23.5	2.8	18.2	21.6	25.0
მომსახურება	14.6	-41.7	0.0	-5.0	-8.0	17.6	34.8	-2.3	11.1
მრეწველობა	11.1	-25.0	0.0	16.7	20.0	17.6	33.3	21.4	21.4
მშენებლობა	50.0	-80.0	-28.6	14.3	-33.3	30.8	12.5	27.3	50.0
BAG	26.1	-46.7	-2.8	6.2	-13.7	14.7	27.4	11.7	20.5



გრაფიკი 2: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით



კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge